საქართველოს პარლამენტი

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

№106/2

2021 წელი, 16 დეკემბერი

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 203-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის ბიურო ადგენს:

დაევალოს საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტს, განიხილოს საინიციატივო ჯგუფის „ხელოვნების მუზეუმისთვის“ (სულხან სალაძე, ნატალია ფერაძე, სოფიო კილასონია) მიერ წარმოდგენილი საქართველოს 685 მოქალაქის ხელმოწერილი პეტიცია შალვა ამირანაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების მუზეუმთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების შესწავლის მიზნით თემატური მოკვლევის ჯგუფის შექმნის თაობაზე (1-18283/21; 15.12.2021) და დასკვნა წარუდგინოს საქართველოს პარლამენტის ბიუროს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის
პირველი მოადგილე,
ბიუროს სხდომის თავმჯდომარე — გიორგი ვოლსკი